№ 147, ივლისს 11, ხუთშაბათი. 1866—1885 ივლისს 11, ხუთშაბათი. № 147.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის [illegible] ლობაზედ.

თუ ხელნაწერნი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

## შინაური ქრონიკა

⊜⊜⊜ გუშინწინ, სამშაბათს, რამდენიმე თავად-აზნაურნი ბ. ლუარსაბ მაღალაშვილის წინამძღოლობით წავიდნენ გუბერნიის მარშალთან, თ. ივანე მუხრან-ბატონთან და სთხოვეს შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო? საადგილ-მამულო ბანკის მოქმედება ქართლ-კახეთზედაც გავრცელდეს. გუბერნიის მარშალმა სრული დახმარება აღუთქვა.

⊜⊜⊜ ბ. იაკობ მანსვეტოვს შეუდგენია ელემენტარული სახელმძღვანელო ფიზიკისა, ცნობებით დართვით ქიმიიდამ. ჩვენ გვქონდა შემთხვევა რამდენიმე თავი წაგვეკითხა ამ სახელმძღვანელოსი და სიამოვნებით უნდა გამოვაცხადოთ, რომ წიგნი კარგად არის შედგენილი მარტივის, ცხოველის და ბავშვებისათვის ადვილად გასაგების ენით. ბ. მანსვეტოვი აპირობს თავის სახელმძღვანელო «წერა-კითხვის საზოგადოებას» წარუდგინოს დასაბეჭდად.

⊜⊜⊜ გუშინ წინ ჩვენ დავბეჭდეთ სოფელ ილორიდამ (იმერეთი) გამოგზავნილი საყვედური. კორესპონდენტი ესაყვედურებოდა სოფლის კულაშის საზოგადოებას, თავის მამულებში გზა არ გაგვაყვანინესო. ამის შესახებ ჩვენ მოგვივიდა შემდეგი პასუხი: «საჯილაოს და ილორის მცხოვრებთ თავიანთ სოფლებიდამ ძალიან კარგი გზა აქვთ სამტრედიის სტანციამდე. ამ ბოლოს დროს იმათისურვეს მეორე გზის გაკეთება—რამოდენიმე იქაური აზნაურების შეგონებით. უმთავრესი საგანი ამ შემთხვევაში იყო პირადი ანგარიში. ერთ მებატონეთაგანს აქვს იმ ადგილზე წისქვილი, რომელიც სხვა გზებზე მოშორებულია. ამის გამო მან მოინდომა და ცხენის წყლიდამ სამტრედიამდე ლარივით პირდა-პირი გზის გაყვანა აკისრეინა. მხოლოდ ცხენის წყლისა და სამტრედიას შუა გადის მდინარე ლოლობა. ლოლობიდამ სამტრედიამდე თ. მიქელაძეების და მათი გლეხების მამულებია. აწ. გრიგოლიებისაგან დაჩემებულ გზას შუაზე უნდა გადაეჭრა ზემოხსენებულთა თავადთა და გლეხთა მამულები. რადგან მამულებს ფასი დაეკარგება და ყოველ წლობით ხარჯიც დასჭირდება ლობეებისათვის, ამის გამოთ. მიქელაძეებმა ნება არ მისცეს, გზა სხვაც არის და დაჩემებული გზა აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენსო. ამისათვის კულაშის თავადნი და გლეხნი ბოდიშს იხდიან რომ თავიანთი სარგებლობა არჩიეს აზნაურთ გრიგოლების სარგებლობას და ამათ წისქვილისათვის ლარზე გზა არ გააყვანინეს. რაიცა შეეხება ზუგდიდის და სენაკის მცხოვრებთა ინტერესებს, ისინი ისე შორს არიან ამ საქმეზე, როგორც იგივე საჯილაო და ილორი ტრაპიზონზე».

⊜⊜⊜ გუშინღამ, საათის ორზედ სასახლის ქუჩაზედ მცხოვრებნი დააფეთიანა საშინელმა ყვირილმა და ხმაურობამ. ქუჩაში ორს თათარს ჩხუბი მოსდიოდა, ერთმანეთს უწყალოდ სცემდენ და უშვერის პირით ილანძღებოდენ. ვერც ერთი მათგანი ვერ ერეოდა, რომ ერთ ერთი მაინც შეშინებულიყო. რამდენიმე კაცი გამოსულიყო და სეირს უყურებდა. თათრები დაიქანცებოდენ, დაისვენებოდენ და დასასვენებლად დასხდებოდენ, რის შემდეგაც ხელ-ახლად უფრო გაშმაგებით ეცემოდენ ხოლმე ერთმანეთს. ორნივ ჩხუბში მშვიდობიანობის დამცველს ეძახდენ, მოუსვენრად ჰყვიროდენ «გარადავოი, გარადავოი»! მაგრამ ამაო იყო მათი ძახილი... ორის საათიდგან დაწყებული დილის ოთხს საათამდის გაგრძელდა ამისთანა არეულობა და მათი გამშველებელი ძე ხორციელი არა სჩანდა. ბოლოს, რომ აღარას გზით არ დაჩუმდენ და მაყურებლებსაც მოეწყინათ უსაქმოდ ყოფნა, რამდენიმე კინტო ბიჭი ჩაერია და იმდენი სცემეს ორივე თათარს, იმდენი, სანამ სრულიად არ დაასისებდენ. ხალხი წავიდ-წამოვიდა, მაგრამ საქმე ამით მაინც არ გათავდა. რა წამს ყველანი გაიგულეს, თათრები ისევ ერთმანეთს მისცვივდნენ და თუ ვილაც პატარა ბიჭს პოლიციელი არ მოეყვანა, ვინ იცის საქმე რითი გათავდებოდა.

რამდენად ყურადღებას მოკლებულია ჩვენი ქუჩები, ამ შემთხვევიდგან აშკარადა სჩანს. სასახლის ქუჩაზედ, თვით მთავარ-სარდლის სახლის გვერდით, ორდენანს-ჰაუზის («ნაობახტის») თვალწინ რომ ამისთანა ორომტრიალი ხდებოდეს და ორის საათის განმავლობაში გრძელდებოდეს სხვაგან რაღას უნდა მოველოდეთ?

⊜⊜⊜ კოჯრისა და თბილისის ერთმანეთთან მავთულის რკინის გზით შეერთება გადასწყვიტეს კოჯრის რჩევაში. ზოგიერთებისაგან ის აზრი გამოითქვა, რომ რკინის გზა საჭირო არ არის, რადგანაც კოჯორში წყალი არ არის და ბევრი ხალხი არ მოვა აქ ზაფხულობითაო. მაგრამ კოჯრის თავმა დაარწმუნა ხმოსნები, რომ კოჯრის ახლომახლო ბევრი წყაროები არის და შეიძლება წყლის მილი გავმართოთო,

---

## ძველი მოყვეტა

მოთხრობა ჟული რიშარისა.

მე ყოველთვის გულითადს პატივს ვსცემდი გაუთხოვრად დარჩენილს მოხუცს ქალებს, პირველი იმისთვის, რომ ისინი მოხუცნი არიან, შემდეგ იმისთვისაც, რომ სრულიად არ ვემორჩილები მე იმ აზრს, რომ გაუთხოვრად დარჩენილი ქალები ვითომ თავის ნათქვამნი, შურიანნი და გაუსაძლისნი იყვნენ; თავის-ნათქვამნი განმარტოებულ ყოფნის გამო, შურიანნი იმიტომ, რომ შურთ სხვის ბედნიერება და გაუსაძლისნი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო.

აბა თქვენ სინიდისს ჰკითხეთ. შეიძლება გაამტყუნოთ ქალი იმისათვის, რომ სურდა ეშოვნა საქმრო ღირსი სიყვარულისა და პატივის-ცემისა და რადგან ვერ შეუსრულდა გულის წადილი, იგი გონივრულად დაემორჩილა ბედსა.

მე არავის არ ვატან ძალას ჩემს აზრზედ დამეთანხმნენ. მაგრამ უნდა მომცეთ ნება გაუთხოვრად დარჩენილ ქალების სასარგებლოდ ვსთქვა ორიოდ სიტყვა. პირველი, თუ ისინი ბებრები არიან, ასე ბებრებად ხომ არ დაბადებულან; მეორედ, თუ ისინი დარჩენილან ქალწულებად, უეჭველია თავიანთივე სურვილის გამო, ანუ წილში არა რგებიათ საქმრო; ამისთვის არავის ნება არა აქვს იგინი შეიძულოს. მაგრამ ყველას ის ემჯობინება, რომ გიამბოთ მოთხრობა მადლენა პრუშესი, ერთი დაბერებული გასათხოვარის ქალისა.

მადლენა იყო გაუთხოვრად დარჩენილი ქალი და როგორც სხვა ამ ხნის ქალებს, უყვარდა ყაყისა და თაგვის ფერი კაბები, მუქი ნავთის ფერი ატლასის შლაპა. ძნელად თუ ვინმე დაახლოვებით მაინც გაიგებდა, თუ რა ხნისა იყო ეს ტანისამოსი. შეკოლადის ფრად შეღებილ მის თმას ტული ჰფარავდა და ვინც არ დააკვირდებოდა, ვერც კი შეატყობდა ამ ყალბ ფერს. იმის ცის-ფერი ქირმანი-შალი, რომელზედაც ყვითელი ჩიტები იყო გამოხატული და ლენტებით შეკრული ტყავის ბაშმაკები სასაცილო მორთულობად მიაჩნდა იმის რძალს ტებოს მეუღლეს.

პარიჟის ბირჟის მაკლერის ტებოს მეუღლე ძალიან კეკლუცი და ცოტათ ამპარტავანი ქალია. მას უკვირდა, რომ მისი ქმარი ასე გულითადად პატივს-სცემდა თავის მამიდას მადლენას. მათ არა ჰქონიათ ისეთი სადილი, ბალი ან კონცერტი, რომ არ დაეპატიჟნათ თავისის ძალზედ ნახმარის ტანისამოსით მორთული მამიდა. ზამთარში ხშირი სტუმარი იყო ტებოს მეუღლისა, ზაფხულშიაც მთელის ზაფხულობით ესტუმრებოდა ხოლმე საზაფხულო სახლში. ტებოს ცოლი ამბობდა, რომ ბებერი ქალი თავისის სასაცილო გლახურის ტანისამოსით (რომელიც ეთაკილებოდა კეკლუც მაკლერის ცოლს)—ძალიან ემგზავსებაო ბლის ხეზედ ჩამოკიდებულ საფრთხობელას. მაგრამ ყოველ ამ გვარ ცოლის ხუმრობაზედ ქმარი უპასუხებდა, რომ მადლენა არის მათი კარგი ნათესავი და როგორადაც ოჯახის უფროსს, მას სურს, რომ მადლენა მათს ოჯახში ყოველთვის პატივის-ცემით იყო მიღებული, რადგან იმას სხვა გასართობი აღარა არსადა აქვს და ის არც არავის უშლის. ამიტომაც ტებოს ცოლი ყოველთვის მიიღებდა მამიდას სიამოვნების ღიმილით. მხოლოდ ხანდისხან ჩუმად ზურგთ უკან დასცინოდა, ისიც მაშინ, როდესაც ქმარი შინ არა ჰყავდა.

სხვა-და-სხვა მოხერხებული მეცადინეობით ბებერი ქალი ცდილობდა დაეფარა თავის სილარიბე; მაგრამ იგი მხოლოდ თავის თავს ატყუებდა. ის ლებამდა თავის ტანისამოსს და მთელი დღე იმის ახალს მოდებზე გადაკეთებას უნდებოდა. გადაახლებდა ხოლმე თავის შლაპას, რომ საზოგადოებაში შესაბამად გამოსულიყო. ღირსეულის ამპარტავნებით ითმენდა თავის სიღარიბეს. არ იმდაბლებდა თავს ნაკლებულების ჩივილით. თავის ძმის-წულმა ტებომ უთხრა, რომ რასაც წელი-

მხოლოდ საჭიროა ამისათვის ბარათაანთაგან მიწა ვიყიდოთო. ამით დაკმაყოფილდენ ხმოსნები და გადაწყვიტეს მოწვევა ინჟინერების აგაპოვის და ალხაზოვის რომელთაც უნდა გამართონ გზა; აგრეთვე უნდა შეადგინონ აქციონერული საზოგადოების პროექტი; თითო აქცია ეღირება 250 მან. ამ სხდომაზედვე ხელის-მოწერა გამართეს, და 35,000 მანეთზე მოაწერეს ხელი აქ დამსწრებ ხმოსნებმა.

⊖⊖⊖ განუწყვეტლივ გვესმის საჩივარი, რომ ტფილისს ერთი ისეთი სახალხო საბანაო არა აქვს, სადაც წესიერება დაცული იყოსო. მართლადაც, მაგალითად თუნდა საპერის ქუჩის ქვემო საბანაო ავიღოთ. ხალხი პირ-და-პირ იმ ადგილს ბანაობს, სადაც სასმელს წყალს ავსებენ; ვინ იცის, ვინ რა ავადმყოფობით არის ავად და მათ ნაბანს-კი საზოგადოებას უზიდვენ. თუნდა ესეც არ იყოს, და მობანავენი სრულიად ჯან-მრთელნი იყვნენ, მაინც არაფერს სასიამოვნო სასმელად ჩასათვლელია კაცის ნაბანი წყალი. ამასთანავე ამ საბანაოებს არავითარი მოწყობილობა არა აქვს, რომ მობანავენი უბედურის შემთხვევისგან დაფარულნი იყვნენ და ეს ყველა-კი მეტად ეჭირვება იმისთანა ცხელს ადგილს, როგორიც ჩვენი ტფილისია.

⊖⊖⊖ ეს არის ეხლა მივიღეთ ახლად გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით ქართული გრამატიკა ანტონ 1 ის მიერ შედგენილი. წიგნი საკმაოდ დიდია და სუფთადაც დაბეჭდილი, ღირს 1 მან. 50 კაპ.

⊖⊖⊖ საგურამოდამ გვატყობინებენ, რომ იქ საქონლის ჭირი-თურქული გაჩენილა, კარგი იქნება ეხლავ იზმარონ რაიმე საშუალება ამ ჭირის შესახებ. თორემ შეიძლება ეს სენი სხვა სოფლებსაც მოედოს და დააზარალოს გლეხ კაცის საქონელი, ეს თითქმის ერთად-ერთი ღონე მისი ცხოვრებისა.

⊖⊖⊖ გაზეთს «კავკაზს» სწერენ გორის მაზრიდამ, რომ რაც ციციშვილებმა საერთო გამგეობა დააწესეს თავიანთ ტყისათვის, მას აქეთია ამ ტყის საქმე რიგიანად მიდისო. ახალი გამგებლის აზრისამებრ კანტორასთან ერთად ფუძნდება კასა, რომლის თანხის მოსაგროვებლად პირველის ივლისიდამ თვეში 10% გადაიდება ყველა მონაწილის წილიდამ. ამ კასას ის დანიშნულება აქვს, რომ თავად ციციშვილებს გაჭირვების დროს ფულით შემწეობა მისცეს. ვისაც რამე უბედური შემთხვევისათვის დასჭირდება, უსარგებლოდ მიეცემა ფული, ხოლო ვისაც ქორწილისა და ამისთანა შემთხვევათათვის უნდა, მას მცირე სარგებელი გამოერთმევა. შემდეგში ყოველ-თვე ნაწილ-ნაწილ დაიჭერენ იმის ხვედრი წილიდამ ფულს ვალის გადასაწყვეტად. როცა ფული საკმაოდ მოგროვდება, კანტორას განზრახვა აქვს თვითონ ივაჭროს ხეტყითა და შეშით, რითაც ეხლა მხოლოდ ფოდრაჩიკები მდიდრდებიან. შეშით ვაჭრობა საციციანო ტყეში ეხლა ამგვარად არის: გლეხები ამზადებენ შეშას და ციციშვილებს შალბაშს ოთხ მანათს აძლევენ. შემდეგ ფოდრაჩიკი მოდის და სულ მცირე ფასად ყიდულობს. ეხლა-კი თავად ციციშვილებს განზრახვა აქვთ გამართონ ტფილისში შეშის საწყობი ადგილი და თვითონ ჰყიდონ შეშა. ძალიან სასარგებლო განზრახვაა და ვისურვებთ, რომ ეს განზრახვა განხორციელებულიყოს.

⊖⊖⊖ «პეტერბურგის უწყების» სიტყვით, პეტერბურგში მისულა ერთი ამერიკელი კომპანიის წარმომადგენელი, რომელსაც განზრახვა აქვს სთხოვოს უმაღლესს მთავრობას, რომ ნება მისცენ ყირიმში ან კავკასიაში ქალალდის სათამაშო სახლის გახსნისა.

⊖⊖⊖ «Русскiй Курьеръ»-სა სწერენ განჯიდამ: ივნისის 23-ს, სოფლების ნუზგირის და ბაიჩალის მცხოვრებლებს დიდი ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთთან სადავო მიწის გამო. ორივე მხრით ბევრი თოფი დაიცალა; ნუზგირელებს ერთი კაცი მოუკლეს, ბაიჩალელებსაც ერთი და ორი კიდევ დაუჭრეს; მოიკლა აგრეთვე ერთი ცხენი და ერთი ვირი. გამოძიება არის დანიშნული.

⊖⊖⊖ განთქმული ჭერიმა სიცოცხლითვე სალეგენდო გმირად შექმნილა. ხმა დაუგდიათ, მითომ კოჯორშიაც-კი მოსულიყოს ეს თავზედ ხელაღებული კაცი და სძინებოდეს კიდეც აქ. ეს ხმა საფუძვლიანი არ არის, რადგანაც ტფილისის მაზრის უფროსი გვარწმუნებს, რომ არამც თუ კოჯორში, არამედ მთელ ტფილისის მაზრაშიაც-კი არ ყოფილა ეს ყაჩაღიო. მაგრამ მაინც, დაშინებულ კოჯორელების დასამშვიდებლად ამ დაბაში გაუჩენიათ ღამის ყარაულები, —ეს კოჯორის დაარსებიდამ არა ყოფილა ჯერ. («ახალი მიმოხილვა»)

⊖⊖⊖ სუხუმის საფილოქსერო პარტიას საყდრის ხევიდან $1/_2$ ვერსის მანძილზე აღმოუჩენია 21 ვაზი, რომელთაც ფილოქსერა გასჩენოდათ. ეს ვაზები 150 ოთხ-კუთხ საჟენის სივრცეზე იყვნენ გაფანტულნი. ავადმყოფი ვაზები ნავთით იქმნენ მოწამლულნი

ტფილისის საფილოქსერო პარტიამ თიბათვის 21-დან კათათვის 2-დინ გამოიკვლია საეჭვო ვენახები სართისჭალის საპრისტავოში (ტფილისის მაზრაში). ამ ხნის განმავლობაში შემდეგს სოფლებში იქმნა გასინჯული ვაზები: ნემეცების კოლონიაში მარიენფელდში—9 ვენახში, კოლონიაში ფრეიდენტალში—9 ვენახში, სოფელ სართისჭალაში—10 ვენახში, კოლონიაში პეტერსდორფში—10 ვენახში, იორზე—2 ვენახში, სოფ. მანავში—5 ვენახში, ს. ბურდეანში—2 ვენახში, ს. თოხლიაურში—18 ვენ., საგარეჯოში—81 ვენ. და ს. ნინოწმინდაში—2 ვენ. ამ ვენახებში არსად არ ამოჩნდა ფილოქსერა («კავკაზი»).

## უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთის «Polit Correspond»-ის ლონდონის კორესპონდენტი იწერება, რომ აქაური იტალიის ელჩი გრაფი ნიგრა მარკიზ სალისბიურიმ ძლიერ მეგობრულად მიიღო და გამოუცხადა, რომ ახალ კაბინეტსა ჰსურს იტალიასთან მეგობრული ურთიერთობა იქონიოსო და ამ მხრით გლადსტონის პოლიტიკას მიჰყვებაო.

—

ლონდონის გაზეთი «Weekly Despatch» ამნაირად გვაუწყებს ინგლისის სამინისტროს კრიზისის მიზეზს:

ინგლისის კონსერვატორები დიდხანს ვერ ჰბედავდენ ესარგებლათ თავიანთ მოწინააღმდეგების დამარცხების ნაყოფით, რადგანაც ცხადად ჰხედავდენ, რომ პარლამენტში უმცირესობას შეადგენდენ და თუ ვიგებს ტორის სამინისტროსთვის მხარი არ მიეცათ, იგი ერთ დღესაც ვერ გაიტანდა თავს. ამიტომაც ლორდმა სალისბიურიმ მოსთხოვა გლადსტონს, რომ ოპოზიციას ახალი სამინისტროსათვის ხელი არ შეეშალა. გლადსტონმა, რასაკვირველია, უარი უთხრა ამაზე, თუმცა, კოროლევის თხოვნით, დაჰპირდა სამინისტროს ცოტაოდენ დახმარებას. სალისბიური ამ დაპირებით არ დაკმაყოფილდა და ხმა ისმოდა, რომ კაბინეტის შედგენაზე უარს ამბობსო,

ერთბაშად საქმე შეიცვალა, სალის-

---

წადში ფულს გაძლევდი, იმას ერთბაშად მოგცემო და არა თვე-და-თვეო, მაგრამ მან ეს თავაზობა არ მიიღო, იმისთვის, რომ არ სურდა წინადვე შეეჭამა თავის შემოსავალი და უპასუხა: ის ნამდვილი ღარიბია, ვინც შესავალ გასავალს ერთი-ერთმანეთს არ შეუფარდებსო. აქედან სჩანს, რომ ტებოს მადლენას მალ-მალე პატიოსნება მარტო ზდილობით არ მოზდიოდა, იგი ჰფიქრობდა ამით მადლენას ხარჯის შემსუბუქებასაც.

გამიგონეთ მდიდარნო: თუ თქვენ შეგიძლიანთ შეიყვანოთ თქვენ ჭერქვეშ, ანუ მიიღოთ თქვენს სუფრაზედ პატიოსანი კეთილ-შობილი ღარიბი პირი, თუ თქვენ შეგიძლიანთ დაატკბოთ მძიმე სვე გამწარებულის უბედურის ნათესავისა, უშველოთ მეგობარს უბედურებაში, წაესარჩლოთ ბავშვს, ანუ. ბებერს—ისე მოიქმედეთ, რომ თქვენგან ნუგეშ-ცემულნი არ გრძნობდენ თქვენის კეთილ-მოქმედების ტვირთსა.

საწყალო მადლენა კრუშე! რამდენი ტანჯვა გამოიარე ახალ წელიწადს დღეს სადილს უკან, როდესაც იცვამდი კალოშებს შინ წასასვლელად შენის ძმისწულის სახლიდამ და ყური მოჰკარ მათს ლაპარაკს შენს შესახებ.

— ეს რასა ჰგავს, ეს ბებერი მათხოვარა, რომელსაც აქ ყველანი დასცინიან და ყველაზედ უმეტესად თვით ქალბატონი, ეს საძაგელი ბებერი თითქმის ხელიდან მაცლის გამონაცვლებსა! ის რომ არ იყოს ხომ სულ მე მერგებოდა. აი ეხლა აჩუქა ქალბატონმა მას თავისი ბეწვის საყელო და მუფტა, ახლა მიჰყოფს ხელს ძველ კაბებს, შლიაპებს და ყველას... არა, უმჯობესია გავიდე აქედან სალი და უვნებელი! ამისთანა ადგილას არც კი ღირს დგომა. ყველა იმ საზიზღარი ბებრის ბრალია.

კეთილი არა გამოვარა, როდესაც კერძობის ლაპარაკს კაცი ყურს დაუგდებს. უთუოდ ეს იფიქრა მადლენამ. იმან მოიხსნა მხრებიდამ ახლად ნაჩუქარი ბეწვის საყელო და მუფტა, დააწყო დერეფანში სკამზედ, დიდხან დაუწყო ცქერა თითქოს სინანულით ესალმებაო, მერე წყნარა ქურდულად გაიპარა, კარებისაკენ აღარც-კი მოუხედნია.

თვით გულ-მაგარი კაციც, რომ მიჰყოლოდა იმას უკან და ენახა რა გვარის მწუხარებით დაეცა ის სკამზედ, გამქრალის ბუხრის წინ, თავის სახლში, უეჭველია იმ გულ-მაგარსაც სიბრალული შეუყვიდოდა გულში, იმისთანა ღრმა მწუხარება სჩანდა იმის მოჭმუხნილს გაყვითლებულ სახეზედ.

ჩაშხამდა ყოველი სიამოვნება, რომელსაც ელოდა ახალწლის ბედნიერ დღეებში, ყოველივე განქრა იმ ბოროტი მოახლეს სიტყვების გაგონებით. მაშ ეჭვი აღარ არის, რომ ამისი რძალი იმისთანა საყვარელი და მოალერსე ქალი, რომელმაც ისეთის გულ-კეთილის ღიმილით აჩუქა საყელო და მუფტა (რა კარგად დაათბობდა იმის დაბერებულ ძვლებს ამ ზამთარს!) მხოლოდ პირში ეფერებოდა მას, დასცინოდა და აძლევდა თავის გამონაცვლებს! მოახლეს სწირავდა, რომ დაასაჩუქროს მამიდა! ეს მოხდა იმ სახლში, რომელსაც თავის სამშობლოს სახლად სთვლიდა. ყველა დასცინოდა აქ იმის მოხუცებულობას და სიღარიბეს, ყველანი—მოახლე, ბიჭებიც-კი!

— თავის დღეში ფეხს აღარ შევდგამ იმათს სახლში! უცებ წამოიძახა მადლენამ მწარის ხმით.

საწყალი ბებერი ქალი მწარედ სტიროდა.

თვალი რომ ედევნებინა ვისმეს, როდესაც ის წვებოდა, უეჭველად გაიგონებდა, რომ იმისმა ტუჩებმა წარმოსთქვეს ჩუმად მხოლოდ ერთი სიტყვა. «დაუმადლებელი»! მაგრამ ისე წყნარა სთქვა ეს თითქოს თითონვე ეშინოდა თავის სიტყვის გაგონებისაო. დიახ მადლენა იყო კეთილშობილი, გულ-კეთილი ქალი და ფიქრად არასოდეს არ მოუვიდოდა ბოროტისათვის გარდაეხადა ბოროტით.

(შემდეგი იქნება)

ბიურიმ ახალი სამინისტრო შეადგინა. თავის სიტყვაში, რომელიც პალატაში წარმოსთქვა კაბინეთის უფროსმა, ამბობდა, რომ ამას «უმაღლესი პოლიტიკის პირობები» მოითხოვენო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამის მიზეზი ყოფილა ბისმარკი რომელსაც მიუწერია კოროლევასთვის, რომ «მისთვის ძლიერ სასიამოვნო იქნება, თუ ინგლისში კაბინეთი გამოიცვლება». ეს ძლიერ დასაჯერებელი არის, რადგანაც გერმანიის კანცლერი ყოველთვის გლადსტონის მტერი იყო და «გერმანიის პოლიტიკის დამაბრკოლებელს» ეძახდა მას.

ლონდონის გაზეთები გერმანიის და დიდ-ბრიტანიის დაახლოვებაზე ლაპარაკობენ. სალისბიურიმ ბისმარკის მეგობრობა დაიმსახურა და ეხლა გლადსტონის დახმარება აღარ ეჭირვებაო. ამის გამო დასაჯერებელი არ არის რომიდამ მოწერილი ტელეგრამა, რომელიც გვაუწყებს, ვითომ ინდოეთის მთავრობა დაერწმუნებინოთ, რომ რუსეთის და ინგლისის შუა მოლაპარაკება კარგად მიდისო. მით უფრო დასაჯერებელი არ არის ესა, რომ ინგლისის ახალ მთავრობას და პეტერბურგის კაბინეთს ჯერ ხელ-ახლად არ დაუწყვიათ მოლაპარაკება. გაზეთს «Indépendance Belge»-ს სწერენ ლონდონიდამ, რომ ავღანის საქმეზე მოლაპარაკება მარტო შემოდგომაზე დაიწყებაო. ლონდონში-კი მოელიან შემოდგომაზე უფრო ადრე საშიშ შემთხვევებს...

---

ნამდვილზე დაწერილია:
1885 წელსა მაისის 24-ს.
ვამტკიცებ პავლე ეპისკოპოზი,
ექსარხოსი საქართველოისა.

# წესდება

## საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი ძმობისა ყოვ. წმ. ღვთისმშობლის სახელობაზე.

§ 1. მართლ-მადიდებელი ძმობა საქართველოს საექსარხოსოსი არსდება ქალაქ თბილისში, სიონის კათედრის სობოროსთან, ყოვლად წმინდა ღვთის-მშობლის სახელზე.

### 1) საგანი ძმობისა.

§ 2. ძმობას აქვს საგნად გავრცელება საქართველოს საექსარხოსოში მართლ-მადიდებელი ქრისტიანული განათლების. ამის მიმდევარე ძმობა მეცადინეობს: ა) გამართოს ღვთის მსახურების, ეკლესიური და სხვა რელიგიურ-ზნეობითი საზოგადო საგნებზე მოძღვრებანი ანუ საუბრები; ბ) გაავრცელოს საღმრთო წიგნების გამოცემა და აგრეთვე გაავრცელოს საქართველოს მხარეებში მდაბიური ენით დაწერილი თხზულებანი რელიგიურ-ზნეობითი შინაარსისა რუსულს და ქართულს ენებზე და საღმრთო გამოხატულებანი ანუ სურათები; გ) მოაწყოს საეკლესიო სამრევლო სკოლების წიგნთ-საცავები და წიგნების საწყობები; დ) თავის საშუალების გადიდების დაგვარად ძმობა უწყობს ხელს მართლ-მადიდებელი ქრისტიანული ძველი სახსოვარი ნივთების შესწავლის საქმეს, ჰკრებს მათ, ნივთებს, ერთ დანიშნულს ადგილს, ანუ იღებს მათგან პირებს და სურათებს.

§ 3. თავის მოქმედების გასაძლიერებლად, საჭირო შემთხვევებში, ძმობა მართავს მიწერ-მოწერას კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებასთან და საქართველოს საექსარხოსოს ეპარქიალური სასწავლებლების რჩევებთან.

§ 4. რომ უფრო გავრცელებულ იქმნეს რელიგიურ-ზნეობითი კითხვები და საუბრები; გავრცელებულ იქმნეს საღმრთო წერილის წიგნები, მდაბიური ენით ნაწერნი თხზულებანი რელიგიურ-ზნეობითი შინაარსისა და საღმრთო მხატვრობა; აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო სკოლების წიგნთ-საცავების და წიგნების დასაწყობი ადგილების უფრო ხეირიანად მოწყობისათვის, ძმობის საგნების უფრო გასავრცელებლად და ამ ძმობის ახალი წევრების გამრავლებისათვის,—შეიძლება დაარსებულ იქმნენ თითოეულ ეპისკოპოზის კათედრასთან მთელს საექსარხოსოში ძმობის განყოფილებანი. უფრო ნამდვილ გამოკვლევისა და ამ მხარის მართლ-მადიდებელი ძველი ნაშთების დაფარვისათვის ძმობა სძებნის საშუალებათა ასაშენებლად, კანონის თანხმად, საეკლესიო ისტორიული მუზეუმისა, რომელსაც განაგებს თვით ძმობა.

### 2) ძმობის წევრნი

§ 5. ძმობის წევრებად შეუძლიათ იყვნენ ყველა წოდების და ორსავე სქესის პირნი, თანამგრძნობელნი ძმობის საგნისა და მსურველნი, რათა აღმოუჩინონ მას შემწეობა თავისი შეწირულებით ანუ თავის მოქმედებით. ამათში პირნი, შემომწირველნი ერთ-დროებითად ძმობის სასარგებლოდ არა ნაკლებ 50 მანათისა, ითვლებიან ძმობის მუდმივ წევრებად; ისინი, რომლებსაც შემოაქვსთ ყოველ წლობით არა ნაკლებ 6 მანათისა, იწოდებიან ძმობის ნამდვილ წევრებად; წარმომადგენელნი ძმობის კასაში ნაკლებ 6 ანუ შემომწირველნი წიგნებისა და პატარა წიგნაკებისა და სხვათა, იწოდებიან ძმობის თანამგრძნობ წევრებად. პირნი, რომელნიც განსხვავებულ სამსახურს აღმოუჩენენ ძმობას და მას საგანს თავის შრომით ანუ დიდძალი შემოწირულებით, აღირჩევიან ძმობის საპატიო წევრებად.

§ 6. ექსარხოსი საქართველოისა არის ძმობის მფარველი.

§ 7. მთავარ-მმართებელი კავკასიისა და მისი თანაშემწე, მზრუნველი კავკასიის სამასწავლებლო ოლქისა, საექსარხოსოს ეპარქიების ყოვლად სამღვდელოებანი და მათნი თანაშემწენი, გუბერნატორები და მაზრის უფროსები, კავკასიის გუბერნიების და თერგის სათემოს თავად-აზნაურთ წინამძღოლნი თავიანთი წოდებისა-მებრ, არიან საპატიო წევრნი ძმობისა.

### 3) ძმობის საშუალებანი

§ 8. ძმობის საშუალებათა შეადგენს ამა წესდების მე-5 § მოხსენებულნი შეწირულებანი სხვა-და-სხვა პირთა

### 4) ძმობის საქმეების გამგეობა

§ 9. უმახლობელესი მართვა ძმობის საქმეებისა ეკუთვნის ძმობის რჩევას, რომელსაც შეადგენს 8 პირი ძმობის წევრთაგან.

§ 10. ძმობის რჩევის თავს-მჯდომარე ინიშნება საქართველოს ექსარხოსისაგან; დანარჩენნი წევრნი ძმობის რჩევისა ირჩევიან ორი წლით საზოგადო ძმობის შეკრებილების დროს. მათ რიცხვში არა ნაკლებ ხუთი პირისა უნდა აღრჩეულ იქმნენ იმ პირთაგან, რომელნიც სცხოვრებენ ქ. თბილისში, დანარჩენნი წევრნი ძმობის რჩევისა შეიძლება აღრჩეულ იქმნენ სხვა ქალაქების ანუ სოფლების მცხოვრებთაგან. გარდა ამისა აღირჩევიან სამი კანდიდატი თანამდებობის აღმასრულებლად, საჭიროების დროს, ავად გამხდარი ანუ გამოუცხადებელი რჩევის წევრების მაგივრად.

§ 11. რჩევა თვის შორის ნიშნავს თავსმჯდომარის ამხანაგს, ხაზინადარს ძმობის კასის ანგარიშების გამგებლად და მდივანს ძმობის საქმეების საწარმოებლად.

§ 12. ძმობის რჩევის უფრო განონიერი მოქმედებისთვის საჭიროა დასწრება თავსმჯდომარის ანუ მისი ამხანაგისა, მდივნისა, ანუ ხაზინადრისა, და გარდა მათისა კიდევ რჩევის ორი წევრისა.

§ 13. ძმობის რჩევის თავს-მჯდომარე, საჭიროებისა-მებრ, ნიშნავს სხდომებს ჩვეულებრივს (ოქტომბრიდამ აპრილის დამლევამდის) და არა-ჩვეულებრივს. წელიწადში ერთხელ მოხდება ძმობის წევრებისა საზოგადო ყრილობანი; ამისთანა კრების დრო ინიშნება საქართველოს ექსარხოსის მიერ.

§ 14. ძმობის საპატიო და ნამდვილ წევრებს აქვსთ უფლება სიტყვიერად, ანუ წერილობით განუცხადონ რჩევას თავიანთი მოსაზრებანი, გარდასაწყვეტად მისი მხრით იმისა, რაც ძმობის სასარგებლოდ ჩაითვლება.

§ 15. ძმობის საზოგადო ყრილობის განსახილავ საქმეებს შეადგენენ: ა) განხილვა რჩევისაგან შედგენილი ყოველწლიური ანგარიშებისა ძმობის მოქმედებაზე, მოხსენებითურთ კომისიათა, დანიშნულთა საქართველოს ექსარხოსისაგან წინად გამზადებული ანგარიშების განსახილავად; ბ) განხილვა ზოგიერთი საგნებისა და ზომებისა, რომელნიც სასარგებლონი არიან ძმობის მოქმედებისთვის; გ) აღრჩევა ძმობის საპატიო წევრებისა; დ) აღრჩევა ძმობის რჩევის შვიდი წევრისა და მათი სამი კანდიდატისა, ე) აღრჩევა სარევიზიო კომისიისა შესამოწმებლად ძმობის ქონებისა და ყველა საბუთებისა, შესახებ შესავლის და გასავლის მუხლთა; დამტკიცებული გასავლის ხარჯისა, რომელიც სდგება ძმობის რჩევისაგან. ამასთანავე მიიღება მხედველობაში, სხვათა შორის, გადადება, შეძლებისა-და-გვარად, წლიური შემოსავლიდამ ცოტაოდენი ნაწილისა ძმობის სათადარიგო თანხის შესადგენად.

§ 16. რჩევის დადგენილობანი წარედგინებიან დასამტკიცებლად საქართველოს ექსარხოსს.

§ 17. ძმობის საქმეების საწარმოებლად რჩევას აქვს თავისი საკუთარი ბეჭედი ჯვრიანი წარწერით.

§ 18. მწერლის დასაქირავებლად და კანცელარიის საჭირო ნივთების მოპოვებისათვის ძმობის რჩევა ნიშნავს ყოველწლობით განსაზღვრულ ფულს.

§ 19. ყველა კონვერტებს, გარდა ფულიანებისა, და წერილებსა, ძმობის სახელობაზე მიღებულთა, იღებს რჩევის თავსმჯდომარე; ისევე აწერს ხელს ფოსტის უწყებაზე ფულიანი კონვერტების შესახებ. უკანასკნელთ იღებს ძმობის ხაზინადარი.

§ 20. ძმობის თანხა ინახება ადგილობით ხაზინაში, თანახმად 2809 მუხ. II ტ. გან. კრებ.; ამ ფულის სარგებლიან ქაღალდებათ შეცვლამდე, იგი შეიტანება ხაზინადრისაგან სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (თბილისში) პირველ მოთხოვნამდე; ხაზინადრის განკარგულებაში რჩება არა უმეტეს 100 მანათისა.

§ 21. რჩევის ყოველი წევრის მოვალეობის განსამარტებლად, განსაკუთრებით თავსმჯდომარის, ხაზინადრის და მდივნისა, საჭიროებისა-და-გვარად, რჩევისაგან იდგინება შესაბამი დარიგება.

§ 22. ძმობის განყოფილებანი საჭირო შემთხვევებში მოქმედებენ ამა წესდების თანახმად.

§ 23. ძმობის განყოფილებანი იხსნებიან საექსარხოსოს ადგილობრივი ეპისკოპოზების შეხედვისამებრ და მოქმედებენ თავიანთ მაზრაში.

§ 24. ძმობის მოქმედებათა ერთობის დასაცველად, ადგილობრივნი განყოფილებანი მოიყვანენ სისრულეში თავიანთ მოსაზრებათა მათის დამტკიცების შემდეგ საქართველოს ექსარხოსისმიერ.

§ 25. წლის დამლევს ადგილობრივნი განყოფილებანი ადგენენ ანგარიშს თავიანთ მოქმედებაზე და წარადგენენ მათ ძმობის რჩევაში.

§ 26. ძმობის განყოფილებათა საქმეების უმახლობელესი წარმოება შეიძლება მიენდოს რჩევას, რომელიც უნდა შესდგეს 4 წევრისაგან, მათ რიცხვში თავსმჯდომარის და ხაზინადრის და საჭიროების დროს, საქმის მწარმოებლისაგან.

§ 27. გამოცდილების მიხედვით, რჩევა ძმობისა ადგენს შემდეგში პროექტებს ძმობის წესდებაში მოსახდენელ ცვლილებათა შესახებ, რომელნიც, შემდეგ საზოგადო კრებისაგან განხილვისა და მოწონებისა, მტკიცდებიან ჯეროვანი წესით.

---

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“.
ივლისის 9-ს.

რიგა. დღეს ბალტიის სავაგონო ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა: ორი სარაი, ბევრი სხვა-და-სხვა ფერი მასალა და რამდენიმე ვაგონი; ცეცხლმა სხვა-და-სხვა სახელოსნო-

ბიც წაახდინა; ასამდის სახლიც დაიწვა; ზარალი მრიელ დიდია.

ქალქუტა. დეკემბერში მანევრებისთვის შეიკრიბებიან დელიში და ამბალეში ბრიტანიის ორი კორპუსი, შემდგარი თითო 20 ათასი კაცისაგან. ამასთან, თითო ამ კორპუსს 5000 კაცი ადგილობრივი ჯარისა მიემატება.

ქაირი. მაჰდის ჯარებმა იერიში მიიტანეს კასალაზე, მაგრამ გამორეკილნი იქმნენ, და ამასთან 3000 კაცი მოკლული დასტოვეს.

## ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 9.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | —$23^{13}/_{16}$ $23^{31}/_{32}$ $23^{13}/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — 208 $203^{1}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | —$250^{1}/_{2}$ $251^{1}/_{4}$ $250^{3}/_{4}$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 27 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 26 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 99 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97 მ. 62 კ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97 მ. 12 კ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | $97^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | $95^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც — — | $95^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | 95 მ. 37 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $217^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $212^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 171 მ. 62 კ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | . . . . . . . |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | . . . . . . . |

## ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუ

| | | | |
|---|---|---|---|
| სეთის ფქვილისა — — | 1 | გირ. | 5 კ. |

ქართულის ფქვილისა: პირ-

| | | | |
|---|---|---|---|
| ველის ხარისხისა— — | 1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — — | 1 | გ. | 2 კ. |

### იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის — | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — — | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — — | 1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |

### ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — — | 1 | გ. | 3 კ. |

### მროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — — | 1 | გ. | 6 კ. |
| სუკი— — — — | 1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი— — | 1 | გ. | 8 კ. |

### ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა — — | 1 | — გ. | |

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ

8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის

10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ

10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის

8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის

8 საათზედ 24 წამ. დილით

# განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობელად, რომ 1885 წლის ენკენისთვისათვის სასწავლებელში იქნება მხოლოდ ოც-და-ისუთმეტის ყმაწვილისათვის თავისუფალი ადგილი პირველს განყოფილებაში, რომელში შემომსვლელებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მაგრამ წლოვანობა მათი კი არ უნდა აღემატებოდეს შვიდს წელიწადს. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზედ, 20 აგვისტოდგან 29-მდის და თხოვნასთან ერთად წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და აზნაურობისა, ან აზნაურობის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმობა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთ რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფილებებში და პირველს და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი ადგილი არ არის თავისუფალი. სწავლა დაიწყება ყველა კლასებში პირველს ენკენისთვეს. (6—4)

## სანიავებელი მანქანები

ჩვენებურის (კევრით) ნალეწის გასანიავებლად, მოწყობილი ბ.ბ. ყაზბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხოლოდ რამდენიმე-ღა დარჩენილა.

ფასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების სადგურში და ბ. ყაზბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ვოკზალზე, დეპოს ნაჩალნიკის სადგურში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ შემდეგის ადრესით მოსწერონ: Тифлисъ жел. дор. вокзалъ, начальнику депо г-ну Казбекъ.

წერილების მომწერლებს უმორჩილესად ვსთხოვთ თავიანთი ადრესები სწორედ და დაწვრილებით შეგვატყობინონ; აგრეთვე სანიავებელის გამოწერის დროს ისიც შეგვატყობინონ,— თუ რკინის გზის რომელს სტანციაზედ მოისურვებს გამოწერილი მანქანა ჩაიბარონ. (10—3)

## ი ნ გ ლ ი ს უ რ ი   მ ა ღ ა ზ ი ა

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | | 1 მან. — კაპ. | ჩაის | | სხვაგან | 1 მან | 20 | ღირებულებს. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | | ,, | 1 — 50 — | | |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | | ,, | 1 — 80 — | | |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | | ,, | 2 — 20 — | | |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | | ,, | 2 — 50 — | | |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | | ,, | 2 — 80 — | | |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | | ,, | 3 — ,, — | | |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; უკანასკნელი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—25)

Присяжн поверенный А. С Френкель перешелъ на другую квартиру: въ Сололаки, по Нагорной улицѣ, въ д Мерабова.

Туда-же переведены редакція и администрація журнала ‹Юридическое Обозрѣніе›.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

издаваемый въ г. Тифлисѣ.

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, **НА ПОЛЪ ГОДА 6 р.** **Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.**

Подписавшимся на весь годъ высылаются вышедшіе №№.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года уплачиваютъ за 1881 г. 8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе—по 10 р. за каждый годъ. Для г.г. студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6).

Иногородн. подп. ‹Юрид. Обоз.› имѣютъ право на полученіе чрезъ редакцію свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тифл. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала—въ Тифлисѣ, Сололаки, Нагорная улица. д. Мерабова, также въ Москвѣ и С.-Петербургѣ—въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

(5—4)

*Доз. ценз. Тифлисъ, 10 Іюля 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ჭარლოველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.